


საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის მოკლე მიმოხილვა

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი **12 393 000.0** ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო **გადასახდელების - 12 403 300.0** ათასი ლარით.


შემოსავლები



2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი **10 215 000.0** ათასი ლარით განისაზღვრა, რაც 2017 წლის მაჩვენებელს 725 500.0 ათასი ლარით აღემატება.

2016 წლის ფაქტი 2017 წლის გეგმა 2018 წლის პროექტი


საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვრა **9 470 000.0** ათასი ლარით.




კატეგორია	იმპორტის გადასახადი	სხვა გადასახადები	მოგების გადასახადი	აქციზი	საშემოსავლო გადასახადი	დამატებითი ღირებულების გადასახადი
■	60,000.0	160,000.0	630,000.0	1,450,000.0	2,780,000.0	4,390,000.0

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს **9 532 238.9** ათასი ლარით.

ხარჯები





დასახელება	2016 ფაქტი	2017 მოსალოდნელი	2018 პროგნოზი
მშპ-ს რეალური ზრდა (ზრდის ტემპი)	2,7%	4,0%	4,5%
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	33 921,6	36 689,6	40 448,8
საშუალო წლიური ინფლაცია	2,1%	4,0%	3,5%
ინფლაცია წლის ბოლოსთვის	1,8%	4,0%	3,0%
სახელმწიფო ვალი %-ულად მშპ-სთან	44,6%	42,9%	44,8%

2018 წლისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის პროგნოზი 4.5%-ს, ხოლო მშპ-ს დეფლატორი 3.5%-ს შეადგენს. საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკის რეალური ზრდის პროგნოზი 5.0%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი, ხოლო მშპ-ს დეფლატორი 3.0%-ის ფარგლებში.

სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი 2017 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით შეადგენს 12 006.8 მილიონ ლარს, ხოლო საშინაო ვალის ნაშთი - 2 764.0 მილიონ ლარს.



2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო კრედიტების ათვისებას 1 288.0 მლნ ლარის ოდენობით და ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების მიღებას 350.0 მლნ ლარის ოდენობით.

გატარებული რეფორმების შედეგად, ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის (*The International Budget Partnership*) მიერ გამოქვეყნებული „ბიუჯეტის გამჭვირვალობის კვლევა 2015“ (*Open Budget Survey 2015*) შედეგებით, საქართველომ **66 ქულით მე-16 ადგილი დაიკავა** მსოფლიოს 102 ქვეყანას შორის, რითაც გაიუმჯობესა პოზიციები და მოექცა *მნიშვნელოვნად გამჭვირვალე* ქვეყნების რიგებს შორის.



2018 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული პრიორიტეტული ღონისძიებები

ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 3 528.0 მლნ ლარი.



- ✓ მ.შ. სოციალური პროგრამები - 2 465.9 მლნ ლარი;
- ✓ მ.შ. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები - 983.6 მლნ ლარი;
- ✓ მ.შ. მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა - 704.0 მლნ ლარი.

განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება - 1 181.8 მლნ ლარი.



- ✓ მ.შ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება - 598.9 მლნ ლარი;
- ✓ მ.შ. საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება - 71.0 მლნ ლარი;
- ✓ მ.შ. მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა - 62.6 მლნ ლარი;
- ✓ მ.შ. მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა - 22.9 მლნ ლარი.

რეგიონული განვითარება და ინფრასტრუქტურა - 1 832.5 მლნ ლარი.



- ✓ მ.შ. საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები - 1 283.2 მლნ ლარი;
- ✓ მ.შ. წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია - 254.9 მლნ ლარი;
- ✓ მ.შ. რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - 262.0 მლნ ლარი.

სოფლის მეურნეობა - 276.0 მლნ ლარი.



- ✓ მ.შ. სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია და ტექნიკის შეძენა და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მიმდინარე ტექნიკური ექსპლუატაცია - 50.0 მლნ ლარი;
- ✓ მ.შ. შეღავათიანი აგროკრედიტები - 45.0 მლნ ლარი;
- ✓ სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეკოზოოტიური კეთილსამედობა - 35.9 მლნ ლარი.



2018 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად ემსახურება სამთავრობო პროგრამის - „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ შესრულებას, რომელმაც უნდა

უზრუნველყოს მოსახლეობის სოციალური დაცვა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება.

ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

✓ <http://mof.ge/>

✓ http://mof.ge/sakartvelos_2018_wlis_saxelmwifo_biujeti



✓ http://mof.ge/mokalakis_gzamkvlevi



საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი